

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სადოქტორო პროგრამის დასახელება - ქართველური ენათმეცნიერება
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ფილოლოგიის დოქტორი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 180 კრედიტი
4. სწავლების ენა - ქართული
5. პროგრამის ხელმძღვანელები
 - მერაბ ნაჭყებია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
 - ტარიელ ფუტყარაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

6. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- მაგისტრის /ან მასთან გათანაბრებული/ დიპლომი სპეციალობით - ფილოლოგია;
- შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) - **B-2** დონე ან შესაბამისი სერტიფიკატი (*იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართი 1*);
- ქართველური ენათმეცნიერების პრობლემატიკის ზოგადი ცოდნა (ჩატარდება გასაუბრება ფაკულტეტზე შექმნილ დარგობრივ კომისიასთან. საკითხების ნუსხა იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id);
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები /საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანება/.

7. პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ქართველურ ენათმეცნიერებაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც ექნებათ აკადემიური ხარისხი და სათანადო კვალიფიკაცია უმაღლესი სკოლის პედაგოგიურ პროცესებში მონაწილეობისათვის. სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რადგან ორიენტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე, საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე; ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტის პიროვნული და პროფესიული განვითარების სრულყოფაზე; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე.

სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს მოამზადებს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისათვის, აღჭურავს თანამედროვე ტექნიკური საშუალებების, უახლესი ინტერდისციპლინალური და ინტერაქტიური მეთოდების ცოდნითა და პრაქტიკაში მათი გამოყენებისათვის საჭირო უნარებით. პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ სამაგისტრო განათლება/გააჩნიათ ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი (*იხ. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები*) და სურთ გაიღრმავონ ცოდნა ქართველურ ენათმეცნიერებაში. პროგრამის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული პროფილის ფილოლოგების მომზადება ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური ენა-კილოების (მეგრული, ლაზური, სვანური) კვლევისა თუ სწავლების მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად მიიჩნევა აფხაზეთის ტოპონიმის, ონომასტიკისა და ენობრივი სიტუაციის ისტორიული დინამიკის კვლევა როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ დონეებზე. პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ომისა და ომისშემდგომი მოვლენების ფონზე დევნილი მოსახლეობის მეტყველების თავისებურებათა და სამეცნიერო დაკვირვებისათვის ხელმისაწვდომ ტერიტორიებზე ენობრივი სიტუაციების

კვლევასაც. ასევე, პროგრამის ფარგლებში დოქტორანტი შეისწავლის ისეთ საკითხებს, როგორცაა: ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის, ონომასტიკის საკითხები, დიალექტების თავისებურებანი, კავკასიის ენები, ქართველურ ენა-კილოთა მიმართება და კონტაქტები მონათესავე (აფხაზურ, ჩერქეზულ, ნახურ, დაღესტნურ) და არამონათესავე ენებთან და სხვ. დოქტორანტებს შესაძლებლობა მიეცემათ არა მარტო ღრმად შეისწავლონ და გაიაზრონ ქართველოლოგიური ენათმეცნიერების პრობლემური საკითხები, არამედ თავადაც ჩაებან ამ პრობლემათა კვლევისა და გადაჭრისკენ მიმართულ მუშაობაში; მაგალითად, შეისწავლონ და მაღალ სამეცნიერო დონეზე იკვლიონ ისეთი საკითხები, როგორცაა: ქართული ენის ფონემური შედგენილობა, ქართული საარტიკულაციო ბაზისი და სხვ. ასევე მორფოლოგიაში – ზმნისა და სახელის პარადიგმის პრობლემური საკითხები, სინტაქსისა და პრაქტიკული სტილისტიკის მნიშვნელოვანი პრობლემები და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, რომ დოქტორანტი სიღრმისეულად დაეუფლოს *ენათმეცნიერებაში* შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს; ძირითად და უახლეს კონცეფციებს; შეიძინოს ქართველურ ენათმეცნიერებაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც შესაძლებლობას მისცემს, მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი; შეიმუშავოს ის ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; გააცნობიეროს ენათმეცნიერების ადგილი თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში; გააცნობიეროს ენათმეცნიერების კავშირი სხვა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებებთან და საზოგადოებაში ჰუმანიტარული ცოდნის გავრცელების აუცილებლობა.

წინამდებარე სადოქტორო პროგრამისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია უცხოეთის წამყვანი საენათმეცნიერო სკოლების მიღწევათა გათვალისწინება, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც ქართველოლოგიური ძიებებისათვის თვალყურის მიდევნება, საერთაშორისო სამეცნიერო მონაპოვართა გაცნობა. ეს მიზანი სტიმულირებულია საქართველოს სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკით, რაც ასახულია კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ.“

8. სწავლის შედეგი

სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ამასთან ერთად, დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს უყალიბდება თანამედროვე მკვლევარ-ფილოლოგისთვის საჭირო უნარ-ჩვევები:

- **ცოდნა და გაცნობიერება** - ფილოლოგიის დოქტორი სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს; იცის ენათმეცნიერების (ზოგადად) და ქართველური ენათმეცნიერების (კერძოდ) განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ენათმეცნიერების ძირითადი და უახლესი კონცეფციები; აქვს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა მის მიერ არჩეულ ქვედარგში, კერძოდ, დაუფლებულია ამომწურავ ცოდნას ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების ფონეტიკა-ფონოლოგიაში,

მორფოლოგიაში, სინტაქსა და ლექსიკაში; რაც შესაძლებლობას აძლევს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი. მას შეუძლია იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული; აცნობიერებს ქართველური ენათმეცნიერების ადგილს თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში; შეუძლია საერთაშორისო ველში არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი; აცნობიერებს საზოგადოებაში ჰუმანიტარული ცოდნის გავრცელების აუცილებლობას.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - დამოუკიდებლად გეგმავს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიას; შეიმუშავებს და იყენებს კვლევის ანალიტიკურ მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახალი ცოდნის მისაღებად, გასაანალიზებლად და საერთაშორისო რეფერირებად პერიოდიკაში გამოსაქვეყნებლად; დაუფლებულია სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას აძლევს, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციებში, თანამედროვე მეთოდოლოგიით იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად.
- **დასკვნის უნარი** - გააჩნია კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი; აქვს პრობლემის დასმისა და გადაჭრის, სწორი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი; დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია არსებული ცოდნისა და მიღებული ახალი ცოდნის შეპირისპირება; შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება პრობლემის გადაჭრისათვის.
- **კომუნიკაციის უნარი** - ეფექტურად იღებს და გადასცემს ინფორმაციას კოლეგებს, მათ შორის უცხო ენაზე; კამათობს აქტუალურ პრობლემებზე, ლოგიკურად აყალიბებს, ასაბუთებს და არგუმენტირებულად იცავს საკუთარ პოზიციას; შეუძლია საკუთარი მიღწევების პრეზენტირება ფართო საზოგადოებისათვის, ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით. დაუფლებულია თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებსა და უახლეს ინტერდისციპლინარულ მეთოდებს, რომლებიც გაუიოლებს მას კოლეგებთან თუ მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან კომუნიკაციის პროცესს.
- **სწავლის უნარი** - დარგის სპეციფიკის შესაბამისად, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, აყალიბებს სწავლება/სწავლის გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და ტექნოლოგიებს; მზად არის ინოვაციების დანერგვა-განვითარებისათვის; აფასებს და გეგმავს საკუთარი კვლევითი პროცესის განხორციელების საჭიროებებს; აღიქვამს და იყენებს დარგის კვლევის ახალ მეთოდებსა და შედეგებს.
- **ღირებულებები** - შეუძლია ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით **არსებითი წვლილი** შეიტანოს ახალი ღირებულებების (კვლევის შედეგების სტანდარტების, ასევე, კვლევის შედეგების შეფასების ახალი სისტემისა და შეფასების კრიტერიუმების) დამკვიდრებაში; შეიმუშაოს ტრადიციულ მყარ ღირებულებათა დამკვიდრების ინოვაციური მეთოდები და ახალ ღირებულებათა დამკვიდრების გზები/საშუალებები. დაიცვას მეცნიერული ეთიკა და ობიექტურობა; ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

9. სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

წინამდებარე სადოქტორო პროგრამაში, ძირითადად, მონაწილეობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თსუ-სა და საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, სხვადასხვა არქივებისა და წიგნთსაცავების ბაზაზე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 5-7 დოქტორანტამდე მიღება.

10. კვლევითი კომპონენტი

დოქტორანტის მომზადებაში უმთავრესია სადისერტაციო ნაშრომი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს სწავლების მთელ მანძილზე. სადისერტაციო ნაშრომი იქნება მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინადადებულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში. *(დაწვრილებით იხ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი)* დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას.

სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკა, რომლის ფარგლებში დოქტორანტს შეეძლება სადოქტორო დისერტაციის თემის შერჩევა:

- საერთოქართველური ენის დივერგენციისა და რეკონსტრუქციის პრობლემები;
- ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის, ონომასტიკის საკითხები;
- ქართველური ენა-კილოების ფონემატური სტრუქტურა /დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი: ძირითადად, ქართველური ქვესისტემების ურთიერთშეპირისპირება; ასევე: ქართველურის შედარება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ და არამონათესავე ენებთან/;
- ქართული/ქართველური ენა-კილოების სახელის ფორმაწარმოება (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართული/ქართველური ენა-კილოების ზმნის ფორმაწარმოება (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართული/ქართველური ენა-კილოების ლექსიკა (სახელდების მოტივაცია და ეტიმოლოგიური ძიებები);
- ქართული/ქართველური ენა-კილოების სინტაგმა (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართული/ქართველური ენა-კილოების წინადადების ანალიზი (სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით);

- ქართული/ქართველური სამწიგნობრო ენის მოდელირება;
- ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირება;
- ქართული სამწიგნობრო კულტურის ისტორია;
- ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში;
- საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაცია დღეს;
- ცალკეული ქართველური ენობრივი ერთეულების ახალი მონაცემების შექმნა და მასალის მონოგრაფიული შესწავლა და სხვ.

11. პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა საფეხურებრივი პრინციპით თანდათანობით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და, კერძოდ, მისი შედეგები გულისხმობს. პროგრამაში კრედიტები განაწილებულია **სასწავლო და კვლევით** კომპონენტს შორის. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი 120 ECTS კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს საუნივერსიტეტო სავალდებულო 21 ECTS კრედიტს: სწავლების თანამედროვე მეთოდები - 6 ECTS კრედიტი, დოქტორანტის სემინარი - 3-3 ECTS კრედიტი, პროფესორის ასისტენტობა - 3 ECTS კრედიტი, აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით - 6 ECTS კრედიტი (დაწვრილებით სასწავლო კომპონენტების განმარტება იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართი 2) და 39 კრედიტის ფარგლებში დარგობრივ სავალდებულო და არჩევით კურსებს. დარგობრივი კურსები დოქტორანტურაში ძირითადად სასემინარო ხასიათისაა და გულისხმობს დოქტორანტის აქტიურობას: დოქტორანტი წარმოადგენს სხვადასხვა მოსაზრებებს მოცემული საკითხის ირგვლივ, ქმნის დისკუსიის სიტუაციას და აქტიურად მონაწილეობს მასში. ხელმძღვანელი ოპონენტის როლში იქნება, დოქტორანტს კი მიეცემა საშუალება, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ცოდნა, დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზის უნარი. სადოქტორო პროგრამის ძირითად სასწავლო დისციპლინებს წარმოადგენს: **"ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები 1 და 2"** (ქართული სტანდარტული ენისა და ქართველური ენა-კილოების მონაცემების სისტემური ანალიზი) და **ლინგვისტური კვლევა -ძიების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები**, რომლებიც უზრუნველყოფენ საკვანძო პრობლემების ირგვლივ არსებული ფაქტობრივი მასალისა და სამეცნიერო გამოკვლევების ამომწურავ ანალიზს. შესაბამისი დავალების შესრულებას დოქტორანტები მოანდომებენ **პირველ და მეორე სემესტრებს** . გარდა ამისა, დოქტორანტი სადისერტაციო თემიდან გამომდინარე ირჩევს 24 კრედიტის მოცულობის არჩევით საგნებს (*პროგრამის სტრუქტურა და საათების განაწილების სქემა იხ. დანართში*).

სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის პედაგოგის აღზრდა. ლექტორის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, დოქტორანტურის გეგმაში სემინარულ მუშაობასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით რეფერატების მომზადებას, სხვათა მოსაზრებების კრიტიკულ ანალიზსა და აუდიტორიისადმი წარდგენის მეთოდოლოგიას. დოქტორანტი

ვალდებულია, ხელმძღვანელს დაწვრილებით წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს შედეგები რეფერატის, მოხსენებისა და სტატიის სახით. სწავლების პროცესში თავდაპირველად დოქტორანტს მიეცემა საშუალება, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ცოდნა, დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზის უნარი; შემდეგ ხელმძღვანელი ოპონენტის როლში იქნება: ხელმძღვანელის მუშაობა დოქტორანტთან გაგრძელდება აქტიური სამეცნიერო დისკუსიის ფორმატით.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (დაწვრილებით სამეცნიერო კომპონენტების განმარტება იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართი 3); მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც, ძირითადად, გადანაწილებულია სწავლების მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სემესტრებზე. კვლევითი კომპონენტის 30 ECTS კრედიტი გადანაწილდება ორი კოლოქვიუმის მომზადებასა და პრეზენტაციაზე; 90 ECTS კრედიტი კი - სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობაზე, საბოლოოდ გაფორმებასა და პრეზენტაციაზე. აღნიშნულ პერიოდში დოქტორანტი -

- აფართოებს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ცოდნის არეალს; ახდენს მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზებას და მეცნიერულ დამუშავებას; სრულყოფს კვლევის მეთოდოლოგიას;
- ეტაპობრივად ამუშავებს სადისერტაციო ნაშრომის ცალკეულ თავებს და კოლოქვიუმებზე (მე-4 და მე-5 სემესტრში) ფაკულტეტის შესაბამისი დარგის სპეციალისტების წინაშე დისკუსიისა და მსჯელობის ფორმატში წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ერთი კონკრეტული ეპიზოდის/მსხვილი პრობლემის საჯარო პრეზენტაციას;
- ავითარებს და სრულყოფს პრეზენტაციის უნარს, სამეცნიერო ზეპირი პაექრობის ტექნიკას, დისკუსიის ხელოვნებას;
- ბოლო (მე-6) სემესტრში საბოლოოდ გააფორმებს სადისერტაციო ნაშრომს და წარმოადგენს მას ჯერ შუალედურ და შემდგომ დასკვნით საჯარო დაცვაზე (დაწვრილებით იხ. დანართი 1; სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა);
- სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად დოქტორანტი ამზადებს სამეცნიერო პუბლიკაციებს (არანაკლებ სამისა) რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად აუცილებელი სტანდარტის დონეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო ნაშრომში მოხდება დოქტორანტის მიერ სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების, შემოქმედებითი უნარების კონცენტრირება და გამოვლენა.

ამგვარად, დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სტრუქტურა სემესტრების მიხედვით

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით						ლექტორი	
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI		
სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი													
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	<i>EDUC D 301</i>	6	35	115	6							ჯ. ჯინჯიხაძე განათლების მეცნ. დოქტორი, სსუ სრული პროფესორი ლ. რეხვიაშვილი განათლების მეცნ. დოქტორი
2.	აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით	<i>ACAD D 301</i>	6	35	115	6							მ. ტაბიძე, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი
3.	პროფესორის ასისტენტობა	<i>PHIL D 301</i>	3	20	55		3						
4.	სემინარი 1	<i>PHIL D 302</i>	3	20	55		3						
5.	სემინარი 2	<i>PHIL D 303</i>	3	20	55			3					
სავალდებულო დარგობრივი სასწავლო კურსები - 18 კრედიტი													
1.	ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები 1	<i>PHIL D 304</i>	6	35	115	6							ტ. ფუტყარაძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2.	ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები 2	<i>PHIL D 305</i>	6	35	115		6						მ. ნაჭყებია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი სსუ სრული პროფესორი
3.	ლინგვისტური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები და	<i>PHIL D 306</i>	6	35	115		6						მ. ნაჭყებია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

	ტექნოლოგიები											სსუ სრული პროფესორი
	არჩევითი დარგობრივი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი					12	9					
4.	ლინგვისტური კომპარატივისტიკა	<i>PHIL D 307</i>	6	<i>35</i>	<i>115</i>							თ. გვანცელაძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
5.	ენობრივი სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში	<i>PHIL D 308</i>	6	<i>35</i>	<i>115</i>							მ. ტაბიძე ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი
6.	თეორიული ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები	<i>PHIL D 309</i>	6	<i>35</i>	<i>115</i>							თ. გვანცელაძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
7.	სვანური კილოები (თეორიული კურსი)	<i>PHIL D 310</i>	3	<i>20</i>	<i>55</i>							ქ. მარგიანი ფილოლოგიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი
8.	ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები	<i>PHIL D 311</i>	6	<i>35</i>	<i>115</i>							თ. ზვიადაძე ფილოლოგიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი
9.	მეგრულ-ლაზური კილოები (თეორიული კურსი)	<i>PHIL D 312</i>	6	<i>35</i>	<i>115</i>							მ. ნაჭყებია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი სსუ სრული პროფესორი
10.	სოციოლინგვისტიკა	<i>PHIL D 313</i>	6	<i>35</i>	<i>115</i>							მ. ტაბიძე ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი
კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი												
1.	კოლოკვიუმი 1	<i>PHIL D 314</i>	15						15			
2.	კოლოკვიუმი 2	<i>PHIL D 315</i>	15							15		
3.	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	<i>PHIL D 316</i>	90				3	27	15	15	30	
სულ - 180 კრედიტი							30	30	30	30	30	30